

# ისტორია

## ბაკალავრიატი

### 1. ადრეული შუა საუკუნეები და ჯვაროსანთა ეპოქა **Early Medieval Western Europe and the Epoch of Crusades**

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ევროპის შუა საუკუნეების ცივილიზაციის ზოგად მახასიათებლებს, შუა საუკუნეების ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა რეგიონების შესაბამისად, ასევე, რეგიონების შესაბამისად, თავისებურებების შესწავლა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დასავლეთ ევროპის ხალხების ისტორიას ადრე შუა საუკუნეებსა და ჯვაროსანთა ეპოქაში. დასავლეთი და აღმოსავლეთის შედარებით დახასიათებას ადრე და გვიან შუა საუკუნეებში. დასავლეთისა და ისლამური სამყაროს ურთიერთობებს შუა საუკუნეებში.

### 2. ანტიკური ქვეყნების ისტორია **Classical History**

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ანტიკური ქვეყნების ისტორიას, ანტიკური ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს კერებს, მისი მოდელს, ამ მოდელის ძირითადი პარამეტრების გაანალიზებას. გაერკვევიან ანტიკური ცივილიზაციის აზროვნების სპეციფიკასა და მის ადგილსა და მნიშვნელობაში ზოგადსაკაცობრიო კულტურაში. შეისწავლიან იმ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ანტიკური ქვეყნების ისტორიაში დაგროვილი მასალის გააზრება, რაც შესაძლებელს გახდის მიხედვით სტუდენტს, განსაზღვროს მისი ადგილი და როლი მსოფლიო ისტორიაში.

### 3. ანტიკური სახელმწიფოების მართვის ისტორია **The History of the State Administration in the Antique Times**

კურსის სტუდენტს შეასწავლის ანტიკური, ბერძნულ-რომაული სახელმწიფოების მართვის სისტემების ისტორიას. ამ სისტემებზე თვალის გადავლება ფრიად გააფართოებს სტუდენტების ცოდნას ათენის, სპარტის, რომის სახელმწიფოების მართვის სტრუქტურების ფორმირებასა და მათი განვითარების შემეცნებაში. მნიშვნელოვანია, ასევე, პოლისური და იმპერიული სისტემების მართვის ორგანიზაციის საკითხების შესწავლა.

### 4. ანტიკური საზოგადოება **Antique Society**

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ანტიკურ ცივილიზაციას, ანტიკური სამყაროს უმნიშვნელოვანეს კერებს, თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტს, ჩასწავლოს ანტიკური საზოგადოების

არსს, გაიაზროს ამ საზოგადოების აზროვნების სპეციფიკა.

## 5. არაბული ესპანეთი და რეკონკისტა

### **Al-Andalus (The Moorish Spain) and Reconquista**

სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს შუა საუკუნეების ესპანეთის ისტორია, არაბთა შემოსევები და არაბული კულტურა ესპანეთში. განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭება სხვადასხვა კულტურათა ურთიერთობას ესპანეთში, რეკონკისტას და კათოლიკური ეკლესიის როლს ესპანელთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

## 6. „ახალი აღთქმა“ და ანტიკური სამყარო

### **"New Testament" and Antique World**

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია განსაზღვროს ის თეორიული თუ მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია ახალი აღთქმის შესწავლის საკითხებში დაგროვილი მასალის გააზრება. კურსი სტუდენტს შეასწავლის ახალი აღთქმის პერიოდის ანტიკურ საზოგადოებას კულტურულ-ისტორიული პროცესების განვითარების ფონზე.

## 7. ახალი და უახლესი ისტორიის საფუძვლები

### **Fundamentals of Modern and Contemporary History**

კურსის ფარგლებში სტუდენტები დაეუფლებიან ზოგად ცოდნას ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში. ამისათვის შესწავლილი იქნება ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა აღნიშნულ პერიოდში, ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებასა და მსოფლიო ომებს. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს, სრულყოფნა თავიანთი ცოდნა მსოფლიო ისტორიაში.

## 8. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (შუა საუკუნეები)

### **History of the Near East (Middle Ages)**

სასწავლო კურსი სტუდენტებს გააცნობს შუა საუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ისტორიას. შესწავლილი იქნება ახლო აღმოსავლეთის ისტორიის პერიოდიზაცია, სასანიანთა ირანი, არაბთა სახალიფოები (არაბთა სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო, ომაიანთა და აბასიანთა სახალიფოები), დიდ სელჩუკთა სახელმწიფო, ფატიმიანთა და აიუბიანთა სახელმწიფოები, მონღოლთა შემოსევები, ირანი XIV-XV საუკუნეებში, ოსმალეთი და ირანი XV-XVIII საუკუნეებში.

## 9. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (ახალი და უახლესი ისტორია)

### **History of the Near East (Modern and Contemporary History)**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (ირანი, თურქეთი, არაბული ქვეყნები) პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ ისტორიას XIX-

XXსს-ში/ახლო აღმოსავლეთი კოლონიალიზმის ეპოქაში; ახლო აღმოსავლეთი 1900-2000წლებში: პირველი პერიოდი – 1900-1945წწ; მეორე პერიოდი – 1945-2000 წლები.

#### **10. ბერძნულ – რომაული ქალაქები**

##### **(Polis et civitas)**

სასწავლო დისციპლინის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ბერძნულ-რომაული ქალაქების “Polis et civitas”-ის გენეზისს, საქალაქო სისტემის ფორმირების მექანიზმებს, მათი სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმებსა და სტატუსს. ატიკის, პელოპონესისა და იტალიის წამყვანი ქალაქების ტოპოგრაფიას, საქალაქო ცხოვრებას, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებებს.

#### **11. ბიბლია და ძველი აღმოსავლეთი**

##### **The Bible and the Ancient Near East**

სასწავლო კურსი სტუდენტებს გააცნობს ბიბლიურ სამყაროს ძველადმოსავლური ისტორიის კონტექსტში. ბიბლიური სამყარო , ბიბლიური ქვეყნები , ხალხები ძველი მსოფლიოს დიდ ცივილიზაციებთან აქტიურ კულტურულ ურთიერთმეხებაში შეისწავლება. შეისწავლიან უძველესი ქანაანის მკვიდრთა ისტორიულ-კულტურულ წარსულსა და ტრადიციებს. ბიბლიას, როგორც ისტორიული წყაროს, შეადარებენ აღმოსავლურ წყაროებსა და ტრადიციებს.

#### **12. „ბიზანტიური თანამეგობრობის“ ისტორია**

##### **A History of Byzantine Commonwealth**

სასწავლო კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტებს ექნებათ სრულყოფილი ცოდნა შუა საუკუნეების აღმოსავლეთის კრიტიკული კულტურის, აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის კრიტიკული სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის, ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებისა და ბიზანტიური ფენომენის შესახებ.

#### **13. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ სლავების XX საუკუნის ისტორია**

##### **The 20<sup>th</sup> Century History of the Western and South-Western Slavs**

კურსის გულისხმობს XX საუკუნის დასაწყისში ბალკანეთზე განვითარებული პროცესების შესწავლას. ეს პროცესები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდნენ ევროპის კონტინენტის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასა და სტაბილურობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სლავური ქვეყნების, როგორც ევროპის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების, თვალსაჩინო აქტერთა როლი. მოცემული სალექციო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტები გაიცნობენ ქართულ ისტორიაში ნაკლებად ნაცნობი სამხრეთი და დასავლეთი სლავების ისტორიას.

#### **14. დასავლეთ და სამხრეთ სლავების ისტორია შუა საუკუნეებში**

## **History of the Western and South-Western Slavs in the Middle Ages**

სასწავლო დისციპლინის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან სამხრეთი და დასავლეთი სლავების (ბულგარეთის, ჩეხეთის, პოლონეთის) ისტორიას; ამ ქვეყნებთან საქართველოს მჭიდრო ისტორიული წარსულს (სარწმუნოებრივი, პოლიტიკური, თუ კულტურული). ამ კურსის შესწავლით სტუდენტი ადვილად გაერკვევა ცენტრალური ევროპის ამ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიურ პროცესებშიც.

### **15. დიდი ბრიტანეთის ისტორია**

#### **History of Great Britain**

სალექციო კურსი მოიცავს დიდი ბრიტანეთის მონარქიაში შემავალ სახელმწიფოთა ისტორიას უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. მისი მიზანი არის წარმოაჩინოს ზოგადი შტრიხებში დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე ისტორიულ მოვლენათა თანამიმდევრობა, ინგლისის, ირლანდიის, უელსისა და შოტლანდიის ისტორიის ყველაზე თვალსაჩინო და საკვანძო საკითხები. კურსი მოწოდებულია იმისათვის, რომ ყურადღება გაამახვილოს ძირითადად იმ მოვლენებზე, რომელთა განზოგადება განმარტავს ამ კუნძულოვანი სახელმწიფოს ისტორიას, გამოკვეთავს დამახასიათებელ სპეციფიკურ სხვაობებს, რაც მას კონტინენტური ევროპის ქვეყნებისაგან განასხვავებდა.

### **16. ეკლესიის ისტორია**

#### **History of Church**

კურსი სტუდენტებს შეასწავლის ზოგადად ეკლესიის ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს, მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის თავისებურებებსა და მის გავლენას საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ყოფაზე. განსაკუთრებით ვრცლად განიხილება ეკლესიის როლი ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე. კურსში განხილულია მართლმადიდებელი ეკლესია, პაპობის ისტორია, ქრისტიანული ეკლესიის ევოლუციის ყველა ეტაპი უძველესი დროიდან დღემდე. ეკლესიის ისტორია წარმოდგენილია ბიზანტიის ისტორიასა და ევროპის ისტორიისა და იდეოლოგიის თავისებურებებთან მჭიდრო კავშირში.

### **17. ესპანეთის ისტორია**

#### **History of Spain**

სალექციო კურსის სტუდენტებს აცნობს ესპანეთის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს უძველესი დროიდან დღემდე, ესპანეთის ადგილს ევროპასა და მსოფლიოში ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეკონკისტას, ესპანეთის გაერთიანებას, ესპანეთ-ამერიკის ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობებს, ესპანურ ლიბერალიზმს, რევოლუციებს, სამოქალაქო ომს, ფრანკიზმს, ბურბონების რეინსტავრაციას.

### **18. ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1550-1789)**

#### **Modern History of Europe and America (1550-1789)**

სალექციო კურსში შესწავლილი იქნება ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა აღნიშნულ პერიოდში. ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს, სრულყოფილ თავიანთი ცოდნა მსოფლიო ისტორიაში.

### **19. ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია (1789-1914)**

#### **Modern History of Europe and America (1789-1914)**

სალექციო კურსში შესწავლილი იქნება ევროპის და ამერიკის სახელმწიფოების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა აღნიშნულ პერიოდში, ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების გზებს.

### **20. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1914-1945)**

#### **Contemporary History of Europe and America (1914-1945)**

სასწავლო დისციპლინის გავლის შემდეგ სტუდენტები დაეუფლებიან ევროპა-ამერიკის ქვეყნების განვითარებას 1914-1945 წლებში. ამისათვის შესწავლილი იქნება ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა აღნიშნულ პერიოდში, ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებასა და მსოფლიო ომებს.

### **21. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია (1945 წლიდან დღემდე)**

#### **Contemporary History of Europe and America (From 1945 till Nowadays)**

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები დაეუფლებიან ევროპა-ამერიკის ქვეყნების უახლეს ისტორიას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შეისწავლიან ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოების როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას აღნიშნულ პერიოდში, ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებას.

### **22. ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკური ისტორია**

#### **Economic History of Feudal Georgia**

სალექციო კურსის შესწავლა სტუდენტს საშუალებას მისცემს, საფუძვლიანად გაეცნოს ფეოდალური ხანის საქართველოს ეკონომიკურ ისტორიას. სალექციო კურსი მოიცავს არა მარტო ეკონომიკური ისტორიის ზოგად პარამეტრებს, არამედ ისეთ სპეციფიკურ საკითხებს, როგორებიცაა იჯარა, ხელფასი, ვალი და პალეოეკონომიკის სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

### **23. გერმანიის ისტორია**

#### **History of Germany**

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან გერმანიის ისტორიას, მის წარსულსა

და აწმყოს, ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ სამეცნიერო მიღწევებს. გერმანიის მიღწევების შესწავლით გაეცნობიან როგორც გერმანიის, ისე ევროპის ქვეყნების განვითარების თავისებურებებს, მათი ინტეგრაციის ფორმებსა და შედეგებს.

#### **24. გვიანი შუა საუკუნეები და აღორძინების ეპოქა**

##### **The Late Middle Ages and Renaissance**

სასწავლო დისციპლინის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ევროპის გვიანი შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის ისტორიას, გაეცნობიან ჰუმანიზმისა და აღორძინების თავისებურებებს, კონფესიურ დაპირისპირებებს დასავლეთში. კათოლიკური ეკლესიისა და ნაციონალური სახელმწიფოების დაპირისპირებებს, რეფორმაციასა და კონტრეფორმაციას.

#### **25. ისტორიული კვლევის მეთოდები**

##### **Methods of Historical Research**

სალექციო კურსი სტუდენტებს გააცნობს ისტორიული სამეცნიერო კვლევის ისტორიასა და მისი სპეციფიკას. გასაგები გახადოს მათთვის განსხვავება ისტორიულ სამეცნიერო და არასამეცნიერო (ყოფით) ცოდნას შორის. გამოუმუშავოს მათ ანალიზის, სინთეზისა და საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემის უნარი.

#### **26. იტალიის ისტორია**

##### **History of Italy**

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან იტალიის ისტორიას. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა იტალიური აღორძინების, დიპლომატიისა და ფაშიზმის პრობლემების შესწავლას. კურსში საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი პაპების რომს, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავდა იტალიის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკას ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობაში, მათ შორის საქართველოსთანაც.

#### **27. მთიელთა ჩამოსახლების პრობლემა საქართველოში**

##### **The Problem of the Highlander's Migration in Georgia**

სალექციო კურსი ფარგლებშია სტუდენტები შეისწავლიან მთიდან ბარში ჩამოსახლების პროცესებს, მათ გამომწვევ მიზეზებსა და ამ პროცესებიდან გამომდინარე მიღებული შედეგებს.

#### **28. პარლამენტარიზმის ისტორია**

##### **History of Parliamentarism**

სალექციო კურსი სტუდენტებს სთავაზობს საქართველოში პარლამენტარიზმის ისტორიის

შესწავლას. სტუდენტები ეცნობიან მსოფლიო პარლამენტარიზმის წარსულსა და დღევანდელობას პარლამენტარიზმის თეორიულ ჭრილში.

### **29. ქალაქი და საქალაქო ცხოვრება შუა საუკუნეების საქართველოში.**

#### **Cities and City Life in Medieval Georgia**

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან შუასაუკუნეების ქალაქების, (ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, საქართველო) როგორც საერთო მახასიათებლებს, ასევე განმასხვავებელ ნიშნებს.

### **30. „ქართლის ცხოვრება“ და მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა**

#### **“Kartlis Tskhovreba” (“The Life of Georgia”) and Its Cultural-Political Significance**

სასწავლო კურსში ყურადღება იქნება გამახვილებული ქართულ ერთობაში კოლექტიური კულტურული იდენტობის მარკერთა აღქმზე, იმ იდეებზე, რომელთა საზოგადოებაში კულტივირებას ემსახურებოდა “ქართლის ცხოვრების” ღრმად იდეოლოგიზებული და სიმბოლიზებული ისტორიული რეპრეზენტაცია. სასწავლო კურსში წინამდებარე კვლევის ფოკუსშია წინამოდერნული ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესი ძეგლი - “ქართლის ცხოვრება”, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა ქართველოლოგიაში.

### **31. ქართული დიპლომატიის ისტორია**

#### **History of Georgian Diplomacy**

სასწავლო კურსი სტუდენტებს სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიურ პრაქტიკაზე. საქართველოს დიპლომატიური ისტორიის შესწავლა მოითხოვს საკითხისადმი საგანგებო, კომპლექსურ მიდგომას, წყაროების მთელი იმ არსენალის გამოყენებით, რომელსაც კავშირი აქვს დიპლომატიასთან. დიპლომატიური საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს საგარეო ფუნქციასთან. ძველ საქართველოში პირველი დიპლომატიური კონტაქტები სახელმწიფოს აღმოცენებისთანავე უნდა გაჩენილიყო. თუნდაც ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, თუ რა დიდი ისტორია აქვს ქართულ დიპლომატიურ სამსახურს.

### **32. ქართული ემიგრაციის და დიასპორების ისტორია**

#### **(ქართველები საქართველოს გარეთ)**

#### **History of Georgian Emigration and Diasporae**

#### **(Georgians Outside Georgia)**

სასწავლო კურსის სტუდენტებს სთავაზობს საქართველოს ამჟამინდელი სახელმწიფოს ფარგლებს მიღმა არსებული ისტორიული ქართული ტერიტორიების, აქ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და მცხოვრები ქართველებისა თუ ქართველთა ჩამომავლების ისტორიას, პოლიტიკურ, ეთნიკურ თავგადასავალს. კურსი ითვალისწინებს, აგრეთვე,

საქართველოდან სხვადასხვა დროს ემიგრირებული ან იძულებით გასახლებული კომპაქტურად მცხოვრები ქართველების ისტორიის შესწავლას.

### **33. ქართული ისტორიოგრაფია** **Georgian Historiography**

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ისტორიოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების დამხმარე დისციპლინის, რაობას. განიხილება ისტორიოგრაფიის ძირითადი მიმართულებები, მისი შესწავლის მეთოდები, ისტორიკოსის მიერ წყაროთა მოხმარების ხასიათი. სტუდენტები შეისწავლიან ქართული ისტორიოგრაფიის ძირითად ტენდენციებსა და ქართველ ისტორიკოსთა მოღვაწეობას, კვლევის მეთოდებს.

### **34. ქართული ნუმიზმატიკა** **Georgian Numismatics**

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სამონეტო საქმისა და ფულადი მიმოქცევის ისტორიას საქართველოში. ასევე, კონკრეტულ მასალასთან ერთად მათ მიეწოდებათ ინფორმაცია იმ მეთოდური არსენალის შესახებ, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ვრცელი მასალის

### **35. ქართული სამართლის ისტორია** **History of Georgian Code**

სასწავლო კურსი ისტორიკოს სტუდენტებს აძლევს ზოგად ცოდნას სამართლის ნორმების შესახებ, აცნობს მათ სამართლის ისტორიასა და ტრადიციებს, საქართველოში სამართლებრივი აზროვნებისა და ტრადიციების განვითარებას, რაც სამომავლოდ სამართლის ისტორიის კვლევის უნარ-ჩვევებს შესძენს.

### **36. ქართული წყაროთმცოდნეობა** **Georgian Source Studies**

კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტები გაეცნობიან ქართულ დამხმარე საისტორიო და წყაროთმცოდნეობითი დისციპლინების ჩასახვისა და განვითარების ისტორიას, თანამედროვე მდგომარეობას, წყაროების კლასიფიკაციას და ყოველი დისციპლინის ფარგლებში კვლევის თეორიული საფუძვლებისა და მეთოდების შემუშავების პრინციპებს.

### **37. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაცია მოდერნულ ეპოქაში და რუსული იმპერიალიზმი** **Georgian National Consolidation in the Modern Epoch and the Russian Imperialism**

სასწავლო დისციპლინის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ნაციონალიზმის პროცესს იმპერიაში, კერძოდ, წარმოაჩენს კორელაციას ჩაგვრის იმპერიულ პოლიტიკასა და ამ



პოლიტიკაზე პასუხს (ნაციონალურ მობილიზაციას) შორის. აღნიშნული სოციალური კანონზომიერება ილუსტრირებულია XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ფაქტებით. მიუხედავად იმისა, რომ კურსი ფოკუსირებულია ნაციონალიზმისა და იმპერიალიზმის ფენომენებზე, ისტორიული პროცესებისადმი მიდგომის თვალსაზრისით ის არ არის არც ნაციონალისტური და არც იმპერიალისტური. ნაციონალიზმისა და იმპერიალიზმის ფენომენებს ის განიხილავს როგორც ობიექტურ მოცემულობებს ყოველგვარი შეფასებითი მომენტის გარეშე.

### **38. რეფორმაცია და კონტრეფორმაცია** **Reformation and Counter-Reformation**

სასწავლო კურსი ასახავს რელიგიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და ეთიკურ ვითარებას იმ პერიოდში, როდესაც რეფორმაციამ და კათოლიკური ერთობის აღდგენის მიზნით გაშლილმა კონტრეფორმაციამ ფართო გავრცელება ჰპოვეს ევროპის კონტინენტზე და ღრმა კვალი დაამჩნიეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს კურსის მიზანია სტუდენტს შეეძლოს გაიაზროს თუ რამ განაპირობა პროტესტანტიზმის გამარჯვება რიგ ევროპულ ქვეყნებში, მაშინ როცა ევროპულ სახელმწიფოთა ნაწილი დარჩა კათოლიკურ ბანაკში. კურსის ფარგლებში სტუდენტი, ასევე, გაეცნობა რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების არსს, მიზეზებსა და შედეგებს.

### **39. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა X საუკუნიდან 1810 წლამდე** **Russian-Georgian Relations from the 10<sup>th</sup> Century till 1810**

კურსი სტუდენტს შეასწავლის როგორც საქართველოსა და რუსეთს შორის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობების ისტორიას (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული), ასევე ამ პრობლემების ირგვლივ გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ საარქივო მასალას და ამ მასალაზე მუშაობის წესებს.

### **40. რუსეთი, საქართველო და ამიერკავკასიური სახანოები** **XVI-XIX (1829 წლამდე) საუკუნეებში** **Russia, Georgia, and the Southern Caucasian Khanates in 16<sup>th</sup>-19<sup>th</sup> (till 1829) Centuries**

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან როგორც საქართველოს, რუსეთისა ამიერკავკასიურ სახანოებს შორის არსებულ დამოკიდებულებას XVI-XIX (1829 წლამდე) საუკუნეებში, ასევე ამ პრობლემების ირგვლივ გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ საარქივო მასალასა და ლიტერატურას.

### **41. რუსეთის ისტორია** **History of Russia**

სალექციო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ეცოდინებათ რუსეთის ისტორიის ისტორიული, გეოგრაფიული, კულტურული, ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები.

**42. საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია XX საუკუნეში**  
**History of International Relations and Diplomacy in the 20<sup>th</sup> c.**

სასწავლო კურსის სტუდენტებს აცნობს საერთაშორისო პოლიტიკის ისტორიულ კონტექსტს, ისტორიულ პროცესში წარმოქმნილ ძირითად სისტემურ ცვლილებებს.

**43. საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორია**  
**(XVI-XIX საუკუნეები)**  
**History of Diplomacy and International Relations (16<sup>th</sup>-19<sup>th</sup> Centuries)**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის ისტორიას XVI-XIX საუკუნეებში. ისტორიის ეს პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან საბოლოოდ ყალიბდება ევროპის პოლიტიკური რუკა. წინა პლანზე გამოდის სახელმწიფო ინტერესები, საფუძველი ეყრება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, სახელმწიფოთა საზღვრებს. იხვეწება დიპლომატიური სამსახურის სტრუქტურა.

**44. საფრანგეთის ისტორია**  
**History of France**

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საფრანგეთის სამეფოს ჩამოყალიბების რთულ და ხანგრძლივ პროცესს. კურსის პირველ ნაწილში განიხილება გალიის ტერიტორიაზე არსებული ადრესახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ეთნოგენეზის პრობლემები და რომაული გალიის ეპოქა; შუასაუკუნეების საფრანგეთის სამეფო დინასტიების მეფეების დამოკიდებულება მსხვილ ფეოდალებთან, რთული და კონფლიქტური ურთიერთობები ეკლესიასთან და პაპობასთან, ასევე ქალაქ-კომუნებთან.

**45. საქართველოს ისტორია (1801-1917)**  
**History of Georgia (1801-1917)**

სტუდენტები შეისწავლიან საქართველოში რუსეთის გაბატონების პერიოდის მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებმაც შეცვალეს ქართველი საზოგადოების განვითარების მიმართულება, რომელთა გარეშე შეუძლებელია შემდგომი პერიოდის საქართველოს ისტორია.

**46. საქართველოს ისტორია (1917 წლიდან დღემდე)**  
**History of Georgia (From 1917 till Nowadays)**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან აღნიშნული პერიოდის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს: გასული საუკუნის სოციალურ რევოლუციებს; ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობას; სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას; პირველ რესპუბლიკას; ქართულ პოლიტიკურ აზროვნებასა და ინტელექტუალურ მემკვიდრეობას; საქართველოს საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში; საქართველოს ყოვლისმომცველ იზოლაციას ცივილიზებული დასავლური სამყაროსაგან და მის შედეგებს; საბჭოთა კავშირის დაშლას; ეროვნულ-

პოლიტიკური მოძრაობის აღმავლობასა და მის შუქ-ჩრდილებს.

#### **47. საქართველოს ისტორია (საფაკულტეტო დისციპლინა)**

##### **History of Georgia**

სტუდენტები შეისწავლიან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ და სოციალ-კულტურულ პროცესებს, რომელებიც განხილული იქნება არა ცალ-ცალკე, დანაწევრებულად, არამედ კომპლექსურად, ურთიერთკავშირში.

#### **48. საქართველოს ისტორია (VIII-XV სს.)**

##### **History of Georgia (8<sup>th</sup>-15<sup>th</sup> cc.)**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან იმ დროს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, მათ გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს. VIII-XV საუკუნეებში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალ-კულტურული პროცესები განხილული იქნება არა ცალ-ცალკე, დანაწევრებულად, არამედ კომპლექსურად, ურთიერთკავშირში. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტს, მთლიანობაში აღიქვას ეპოქა.

#### **49. საქართველოს ისტორია (XV-XVIII სს.)**

##### **History of Georgia (15<sup>th</sup>-18<sup>th</sup> cc.)**

კურსის ფარგლებში განსაზღვრულია XV-XVIII სს-ის საქართველოს პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური და კულტურის ისტორიის ძირითადი საკითხების წარმოჩენა: ქართული სამეფო-სამთავროების საშინაო და საგარეო ვითარების შესწავლა; ერთმანეთთან, მეზობელ სახელმწიფოებთან (ირანთან, ოსმალეთთან, რუსეთთან) და ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური წანამდგრების გაანალიზება; ქართული და უცხოური წერილობით წყაროების მიმოხლვა.

#### **50. საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე)**

##### **History of Georgia (From the Ancient Times to the 8<sup>th</sup> c.)**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან შესაბამისი პერიოდთან დაკავშირებულ საისტორიო წყაროებს, იმ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც ხდება ამ წყაროების შეჯერება და მათ საფუძველზე ისტორიული ნარატივის აგება. ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს ძვ. წ. მე-15-დან ახ. წ. VIII საუკუნემდე.

#### **51. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია**

##### **Historical Geography of Georgia**

სალექციო კურსი სტუდენტებს ამომწურავ ცოდნას აწვდის ისტორიული გეოგრაფიის ცალკეულ საკითხებზე. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს ნებისმიერი ისტორიული პროცესი წარმოიდგინოს იმ სივრცეში, სადაც იგი განვითარდა.

## **52. საქართველოს ისტორიული საზღვრები და სასაზღვრო სისტემა** **The Border System and Historical Borders of Georgia**

საღიგეო კურსის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სასაზღვრო ზოლის მომცველი პოლიტიკურად სტრატეგიული რეგიონების (ქვემო ქართლი, ჯავახეთი, ჰერეთი, დღევანდელი თურქეთის სახელმწიფოში მოქცეული ისტორიული მესხეთის მნიშვნელოვანი ნაწილი) ობიექტური კვლევისთვის, რომელთა უმრავლესობა სხვადასხვა პროცესის შედეგად ხშირად საქართველოს ისტორიული საზღვრის მიღმა რჩებოდა. თანამედროვე ეტაპზე აუცილებელია სასაზღვრო ზოლთან მიმართებით წარსულში ჩასახული კონფლიქტების ახლებურად გააზრება ობიექტური და კომპლექსური კვლევის ფონზე, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტური საკითხების ცივილური კუთხით მოგვარებას და დარეგულირებას მეზობელ ქვეყნებთან.

## **53. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია** **History of Georgian Orthodox Apostolic Church**

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბება-განვითარების ისტორიასა და ევოლუციურ ეტაპებს. საქართველოს ეკლესიის ისტორიის გააზრებენ მსოფლიო ეკლესიებისა და კულტურულ-პოლიტიკური ისტორიის ჩარჩოში. საქართველოს ეკლესიის ისტორია შეისწავლება საქართველოს ისტორიულ მოვლენებთან და სხვა დისციპლინებთან კონტექსტში.

## **54. საქართველოს სამხედრო ისტორია (უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე)** **Military History of Georgia (From the Ancient Times till the 18<sup>th</sup> Century)**

სასწავლო დისციპლინა წარმოაჩენს, თუ როგორი იყო ამა თუ იმ ეპოქაში საქართველოს სამხედრო ორგანიზაცია. საქართველოს სამხედრო ისტორია ერთიანი გაბმული სახით ჯერ კიდევ არ შექმნილა. წინამდებარე კურსის მიზანია ამ ხარვეზის აღმოფხვრა. ომი ანტიკური და შუა საუკუნეების საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა. სამხედრო ხელოვნებაში თავს იჩენს კულტურის დონე იმ ხალხისა, რომლებმაც ესა თუ ის მხედართმთავარი წარმოშვა და ამიტომაც სამხედრო ხელოვნების ისტორია კულტურის ისტორიის ნაწილიცაა.

## **55. საქართველოს ხელისუფლების ისტორია** **History of the Government in Georgia**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს ხელისუფლების ისტორიას. კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოს სახელისუფლებო სისტემასა და სტრუქტურას მისი არსებობის განმავლობაში, ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას, სახელისუფლებო შტოთა სამართლებრივი სტატუსსა და ფუნქციებს, პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრებსა და მის ცვლილებებს, მმართველთა ქრონოლოგიას.

## **56. შესავალი ისტორიის მეცნიერებებში**

### **Introduction to Historical Sciences**

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს ეცოდინებათ ისტორიული მეცნიერების ისტორია, ისტორიული შემეცნების თავისებურებები, მეთოდოლოგიები და ის მეთოდები, რომლებსაც იყენებენ წარსულის რეკონსტრუქციისათვის. შეისწავლიან ძირითად ცნებებსა და ტერმინებს, რომლებითაც ოპერირებს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება მსოფლიოში.

## **57. შუა საუკუნეების სამხედრო საქმე და აღჭურვილობა**

### **Military Work and Equipment in the Middle Ages**

სასწავლო დისციპლინის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სამხედრო საქმის განვითარებას, განსაკუთრებით საზღვაო ფლოტისა და ბრძოლების ძირითად პროცესებს. ლექციების მეორე ნაწილი ეთმობა ქვეითი ჯარის როლის შესწავლას სხვადასხვა პერიოდში. ასევე, კავალერიისა და მთავარსარდლის როლს სამხედრო საქმის განვითარებაში. განიხილება შუა საუკუნეების სხვადასხვა ბრძოლა სამხედრო საქმის განვითარების მიზნით. ლექცია-სემინარებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება აღნიშნული ბრძოლების რეკონსტრუქციას, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის სტუდენტისათვის შუა საუკუნეების სამხედრო ისტორიის განვითარებას.

## **58. ყოველდღიურობის ისტორია შუა საუკუნეებში**

### **The History of Everyday Life in the Middle Ages**

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ყოველდღიურობის ისტორია შუა საუკუნეებში, რომელიც გულისხმობს მენტალობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და წარმოდგენების საკითხებს, სიმბოლოთა და ჟესტების ენას, “პირად” და “საჯარო” სივრცეს და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს შუა საუკუნეების ევროპის ყოველდღიურობის ისტორიიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საკითხის მეთოდოლოგიურ მხარეს.

## **59. ზოგადი წყაროთმცოდნეობა**

### **The General Source Study**

სტუდენტი სწავლობს ზოგად წყაროთმცოდნეობას, როგორც ისტორიული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს (ე.წ. დამხმარე დისციპლინას), რომელსაც აქვს როგორც საკუთარი შესწავლის საგანი, ობიექტი (საისტორიო წყაროები), ისე კვლევის განსაკუთრებული მეთოდი.

## **60. ძველი აღმოსავლეთის ისტორია**

### **History of the Ancient Near East**

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებისა და კულტურის ისტორიას ძვ.წ. IV ათასწლეულის შუა ხანებიდან ძვ.წ. IV საუკუნემდე. საგნის შესწავლა სტუდენტებს დაეხმარება არა მარტო მსოფლიო ცივილიზაციის ჩასახვისა და განვითარების გზის თავისებურებათა აღქმაში, არამედ გაუადვილებს მათ მომდევნო ეპოქებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების გააზრებასა და შეთვისებას.

### **61. ძველი ეგვიპტის ისტორია და კულტურა** **The History and Culture of Ancient Egypt**

სასწავლო კურსის სტუდენტებს შეასწავლის ძველი ეგვიპტის საზოგადოების ისტორიული განვითარების ეტაპებს ქრონოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით. განიხილება ისტორიულ-გეოგრაფიული პანორამა: ქვეყნის გეოგრაფიული განფენილობა, ეთნიკური მახასიათებელი, რესურსები, პერიოდიზაციის პრობლემები - ქრონოლოგიური ჩარჩოები და ტერმინები.

### **62. ძველი მსოფლიოს ისტორიის საფუძვლები** **Fundamentals of Ancient World History**

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ძველი მსოფლიოს ისტორიის საგანს, ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ ჩარჩოებს, მის ძირითად პრობლემებს, მათი შესწავლის მეთოდოლოგიურ საფუძველს.

### **63. ძველი წინა აზიის ისტორია და კულტურა** **The History and Culture of Ancient Western Asia**

სასწავლო კურსი სტუდენტებს აცნობს ძველი აღმოსავლეთის მნიშვნელოვან კულტურულ კერებს, შუამდინარეთისა და სირიის ძირითადი ისტორიული მოდელებს \_ შუმერულს, აქადურს, ასურულს, ბაბილონურს, ხურიტულს, ურარტულს, ებრაულს და, აგრეთვე, ფინიკიურს. ეს კულტურები არქაული პლასტებიდან აღმოცენდნენ და საბოლოოდ “მაღალი კულტურის” მოდელებად ჩამოყალიბდნენ. კურსის ქრონოლოგიური ჩარჩოები განისაზღვრება ძვ.წ. III-I ათასწლეულებით.